

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები

განსახილველად გამოქვეყნებული

ორჭუსის კონვენციის განხორციელების

VI ეროვნული ანგარიშის პროექტის შესახებ

4 ნოემბერი, 2020

საერთო ხასიათის შენიშვნები:

- ანგარიშში მოცემული ინფორმაცია არ არის შინაარსობრივად შეკრული; დიდი ნაწილი პირდაპირ, გააზრებისა და კონტექსტის ანალიზის გარეშე გადმოტანილი სხვადასხვა დოკუმენტიდან.
- ანგარიში არ არის მოცემული ისეთი ფორმატით, რომელიც შენიშვნის გაკეთებისას, აბზაცზე ან წინადადებაზე მინიშნების შესაძლებლობას მისცემდა მკითხველს.
- ანგარიშის ნაწილების დასასრულს მოცემული ბმულები, უმეტეს შემთხვევაში, არარელევანტურია და არ ადასტურებს ამ ნაწილებში მოცემულ ინფორმაციას.
- ანგარიში გაჯერებულია სხვადასხვა შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობებით, რაც არასწორი და შეცდომაში შემყვანია, ამ შეხვედრების შინაარსის და მონაწილეთა შემადგენლობის შესახებ ინფორმაციის გარეშე.
- ორჭუსის კონვენციის მოთხოვნათა შესრულებაზე მსჯელობისას, ანგარიშში მთელი აქცენტი გადატანილია გარემოსდაცვითი განათლებისა და ინფორმაციის ცენტრის საქმიანობაზე, და არა, თუნდაც, მთლიანად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროზე და მის სისტემაში შემავალ სხვა ერთეულებზე, რომ არაფერი ვთქვათ სხვა სახელმწიფო უწყებებზე (ფრაგმენტული მინიშნებები ზოგიერთ უწყებაზე არასაკმარისი და ხშირად, არარელევანტურიცაა).
- ანგარიში სავსეა დასმული კითხვების შეუსაბამო პასუხებით; არაერთ შემთხვევაში, პასუხს არავითარი კავშირი არ აქვს დასმულ კითხვასთან (მაგ., IV. პუნქტის პასუხი: „მწვანე ზრდის სტრატეგიასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ შემდეგს:... გათვალისწინებულია მწვანე ზრდის სტრატეგიის შემუშავება. 2015-2020 წლების ქ. თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგიის ეფექტიანი განხორციელებისათვის გამოიკვეთა ქვეყანაში არსებული

სამეცნიერო პოტენციალის მობილიზების, სამთავრობო, არასამთავრობო და ბიზნესის სექტორებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის, საზოგადოების ჩართულობისა და საზოგადოებრივი მხარდაჭერის აუცილებლობა.“).

- ანგარიშში არსად არის აღნიშნული 2017 წლის დეკემბრის დასასრულს განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შესახებ: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გაუქმების და ახალი უწყების - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შექმნის შესახებ. არაფერია აღნიშნული, რა შესაძლებლობები გააჩინა (თუ კი საერთოდ გააჩინა) და რა სირთულეები შეუქმნა ამ სტრუქტურულმა ცვლილებამ კონვენციის ნორმების შესრულებას ქვეყანაში.

- ანგარიშში არსად არის აღნიშნული „ღია მმართველობა საქართველოს“ 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის და მისი შესრულების მდგომარეობის შესახებ. გეგმის ერთ-ერთი ვალდებულებაა (ვალდებულება 5) „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად ელექტრონული პორტალის ამოქმედება“, რომელიც დღემდე არ შესრულებულა.

- **III ნაწილის, (ა) პუნქტის პასუხი:**

ანგარიშში ნახსენებია შემდეგი: „**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ (გადაწყვეტილება N3/1/752, 2018) განმარტა, რომ კონსტიტუციით დადგენილია სახელმწიფოსაგან ინფორმაციის მიღების უფლების სპეციალური შემთხვევა.**“

რჩება შთაბეჭდილება, რომ ანგარიშის ავტორი გამიზნულად არიდებს თავს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებაზე მსჯელობას თავს; არ განმარტავს დავის საგანს, სასამართლოს გადაწყვეტილებას, ასევე, მნიშვნელოვან გარემოებას - ერთ-ერთი მოსამართლის განსხვავებულ აზრს. ავტორი შემოიფარგლება მშრალი განმარტებით - „სპეციალური შემთხვევა“ და ვრცლად აგრძელებს მსჯელობას საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის გადაწყვეტილებაზე (და 2018 წლის გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, იქვე წყაროსაც კი უთითებს), რომელიც საერთოდ არ ეხება კონვენციის საანგარიშო პერიოდს. აქვე არასწორადაა ციტირებული საქართველოს კონსტიტუციის მუხლები (განხილულ საკითხთან და კონსტიტუციის მოქმედ რედაქციასთან კავშირში).

- **V ნაწილის პასუხი:**

ანგარიშში აღნიშნულია შემდეგი: „**დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის მიზნით მოსწავლეებისთვის მოეწყო ეკო-ტურები საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე, ჩატარდა ლექცია-სემინარები, კვირეულები, მწვანე აქციები და შეხვედრები მოსახლეობასთან, რომლებშიც, საანგარიშო პერიოდში სულ ჩართული იყო 291 577 ადამიანი. გრძელდება და დაგეგმილია რეგულარული საინფორმაციო შემეცნებითი ტურები დაცულ ტერიტორიებზე სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის. მოსახლეობის ჩართულობისა და დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესების მიზნით ფუნქციონირებს დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციები, რომლებიც წარმოდგენილი არიან ადგილობრივი მოსახლეობის, სამთავრობო, არასამთავრობო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებითა და სხვა დაინტერესებული მხარეებით. საანგარიშო პერიოდში დაცული ტერიტორიების სააგენტოს Facebook-ის გვერდის მომხმარებელთა რაოდენობა 111 200 -სს აღემატება.**“

ამ აბზაცში მოყვანილ ინფორმაციას/ღონისძიებებს, არავითარი კავშირი არ აქვს გარემოს დაცვასთან. ეს ღონისძიებები ტარდება დაცულ ტერიტორიებში ტურიზმის პოპულარიზაციისთვის. ამასთან, ამ ნაწილთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია შემდეგი:

დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან ფუნქციონირებდა საკონსულტაციო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, ბიზნესის და ღონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭო შექმნილი იყო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №3 ბრძანებით დამტკიცებული „დაცული ტერიტორიების სააგენტოს დებულების“ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და მე-111 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე. ამ დებულების თანახმად, საბჭო იქმნება დაცული ტერიტორიების მართვაში საზოგადოების ჩართულობის გაზრდის მიზნით. საბჭო ხელს უწყობს მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების ჩართულობას დაცული ტერიტორიების პრობლემატიკის სრულფასოვან განხილვაში დაცული ტერიტორიების ინტეგრალური მართვის პროცესში და ამ მიზნით სააგენტოს უწევს მეთოდოლოგიურ დახმარებას, კონსულტაციას და აძლევს რეკომენდაციებს.

საბჭო სულ მცირე სამ თვეში ერთხელ უნდა იკრიბებოდეს, თუმცა, ის არ შეკრებილა 2018 წლის ივლისის შემდეგ. ამის მიზეზი ის არის, რომ საბჭოს წევრებმა არ დაუჭირეს მხარი სააგენტოს უკანონო გადაწყვეტილებას ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ერთ-ერთი კომერციული ორგანიზაციისთვის ხე-ტყის დამზადების უფლების მიცემასთან დაკავშირებით.

ზემოთ აღნიშნული ბრძანება ჩანაცვლდა ახალი აქტით: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 27 ნოემბრის №2-1150 ბრძანებით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცული ტერიტორიების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ, რომლის მე-14 მუხლი ასევე მოითხოვს საკონსულტაციო საბჭოების შექმნას.

- **V ნაწილის პასუხი:**

ანგარიშში აღნიშნულია: „**2019 წ შეიქმნა საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი - ონლაინ მონიტორინგის პლატფორმა, რომელიც იძლევა ეროვნულ და რეგიონულ დონეზე ტყესთან დაკავშირებული მონაცემების ნახვა-გაანალიზების საშუალებას.**“

მას შემდეგ, რაც პლატფორმის შემუშავებელმა პროექტმა სამინისტროს გადასცა ატლასი, ის მოკლე ხანში „გაფუჭდა“ და მხოლოდ ახლახან, ოქტომბრის ბოლოს, აღდგა მისი ფუნქციონირება. პლატფორმა ნახევარ წელზე მეტ ხანს არ ფუნქციონირებდა.

- **V ნაწილის პასუხი:**

ანგარიშში აღნიშნულია: „**გარემოსდაცვით საკითხებზე, არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის შესაძლო გზების თაობაზე საზოგადოების ინფორმირების მიზნით სგდსმს უზრუნველყოფს ინფორმაციის რეგულარულ და ოპერატიულ განთავსებას სგდსმს-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე....**“

გავრცელებული ინფორმაციის უდიდესი ნაწილი ეხება სოფლის მეურნეობის და არა გარემოს საკითხებს.

- **V ნაწილის პასუხი:**

ანგარიშში, იქვე: **სადაც აღწერილია პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მიერ გატარებული დონისძიებები.**

ანგარიშის ავტორისთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ ორჰუსის კონვენციის მოთხოვნები არ ვრცელდება პარლამენტებზე. როგორც თავად კონვენციის სახელმძღვანელო დოკუმენტებშია აღნიშნული, კონვენციის მიზნებისთვის და ანგარიშგებისთვის, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს პარლამენტების მიერ საკანონმდებლო და საზედამხებლო ფუნქციების განხორციელებისას ორჰუსის კონვენციით გარანტირებული უფლებების განმტკიცებასთან დაკავშირებულ ინიციატივებზე. ამ თვალსაზრისით, სრულიად უსარგებლოა ანგარიშში მოცემული კომიტეტის მიერ გატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი, როგორც აქ, ისე ანგარიშის სხვა ადგილებზე.

ანგარიშისთვის რელევანტური იქნებოდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღებაზე, მასში ცვლილებების შეტანაზე და WFD-ის მხარდაჭერით ჩატარებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის აღსრულების შეფასების პროცესზე. ეს უკანასკნელი ნახსენებია წარმოდგენილ ანგარიშში, თუმცა, არაფერია ნათქვამი ამ პროცესის შედეგებსა და საბოლოოდ მიღებულ ანგარიშზე. პარლამენტის ანგარიშში საუბარია გარემოსთან დაკავშირებულ ინფორმაციასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებზე საზოგადოების ხელმისაწვდომის უფლებების რეალიზების სფეროში არსებულ არაერთ პრობლემაზე. რჩება შთაბეჭდილება, რომ განსახილველად წარმოდგენილი ანგარიშის ავტორი ამ პროცესის შედეგებსაც გამიზნულად უვლის გვერდს.

- **IX ნაწილის პასუხი:**

ანგარიშში აღნიშნულია შემდეგი: „**არასამთავრობო ორგანიზაცია “ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი” (IDFI) მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად სგდსმს-მ 2017 და 2018 წლებში მიიღო ჯილდო, როგორც საჯარო ინფორმაციის გაცემაზე 100%-იანი მაჩვენებლის მქონე დაწესებულებამ.**“

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ კვლევისას აფასებს რაოდენობას და არა ხარისხს; ორგანიზაცია არ ამოწმებს პასუხების ხარისხს, სრულფასოვნებას. პრაქტიკაში, ხშირ შემთხვევაში, გაცემული ინფორმაცია არასრულია, საჭირო ხდება ინფორმაციის განმეორებით/დამატებით მოთხოვნა.

- **XI ნაწილის (გ) პუნქტის პასუხი:**

ანგარიშში აღნიშნულია შემდეგი: „**გარდა ზემოაღნიშნულისა, სგდსმს-ში გამოიყენება არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრების პრაქტიკა სგდსმს-ს საქმიანობის შესახებ ანგარიშის ჩასაბარებლად და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე კონსულტაციებისათვის.**“

აღნიშნული არ შეესაბამება სინამდვილეს და არ დასტურდება ფაქტებით.

- **XIII ნაწილის პასუხი:**

ანგარიშში აღნიშნულია შემდეგი: „**1. რეგიონული გეოლოგიური მონიტორინგის შემთხვევაში წლის დასაწყისში ... ინფორმაციული ბიულეტენი თავსდება ყველასათვის მისაწვდომ ვებ-გვერდზე, ეგზავნება სახელმწიფო უწყებებს, მხარეებისა და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობას და ყველა დაინტერესებულ ინსტიტუტს.**“

ჩანაწერი არ შეესაბამება სინამდვილეს. ინფორმაციული ბიულეტენი არ თავსდება ვებ-გვერდზე; ის არ ქვეყნდება.

აქვე აღნიშნულია შემდეგი: „სგდსმს-ს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო ყოველწლიურად გამოსცემს გეოლოგიური საშიშროებების ბიულეტენს ...აღნიშნული სააგენტოს ვებ-გვერდზე რეგულარულად ქვეყნდება ყოველთვიური ბიულეტენი „საქართველოს გარემოს დაბინძურების მოკლე მიმოხილვა“, „საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერულ ჰაერში გამა გამოსხივების ექსპოზიციური დოზის სიმძლავრის წელიწადული“, „საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წელიწადული“ და „საქართველოს ტერიტორიაზე ზედაპირული წყლების დაბინძურების წელიწადული“.

არ დასტურდება აღნიშნული გამოცემების რეგულარულობა. კერძოდ: ყოველთვიური ბიულეტენი „საქართველოს გარემოს დაბინძურების მოკლე მიმოხილვა“ - ბოლო ბიულეტენი დათარიღებულია 2020 წლის ივნისით; „საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერულ ჰაერში გამა გამოსხივების ექსპოზიციური დოზის სიმძლავრის წელიწადული“ - ბოლო 2018 წლითაა დათარიღებული. „საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წელიწადული“ - ბოლო დათარიღებულია 2017 წლით; „საქართველოს ტერიტორიაზე ზედაპირული წყლების დაბინძურების წელიწადული“ - ბოლო დათარიღებულია 2018 წლით.

• **XV ნაწილის (b) პუნქტის პასუხი:**

ანგარიშში აღნიშნულია შემდეგი: „საზოგადოების ეფექტიანი ინფორმირება-ჩართულობის მიზნით სგდსმს-ში წარმოებების შესახებ ინფორმაცია თავსდება სსიპ გიგც-ის ვებგვერდზე, მის ფეისბუქზე, ელ.ფოსტით ეგზავნება გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს, გაეგზავნა 6000-ზე მეტ გამომწერს.“

არ შეესაბამება სინამდვილეს. ეს არ ხდება სისტემურად. ასევე, ცენტრს არ აქვს ინფორმაციის გამოწერის სისტემა. ვინ არის 6 ათასი გამომწერი - გაუგებარია. შესაძლოა, მათი უმრავლესობა საჯარო მოხელეები იყვნენ.

ანგარიშში, ასევე, აღნიშნულია: „ინფორმაცია ასევე თავსდება შესაბამის მუნიციპალიტეტებში ხალხმრავალ ადგილებში ყველა დაშვებულ ლოკაციაზე.“

ეს არ შეესაბამება სინამდვილეს და ტყუილია. სამინისტრო არ ასრულებს ინფორმაციის განთავსებასთან დაკავშირებულ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. კოდექსის მიღებიდან დღემდე, სამინისტრო ხარვეზებით ასრულებს კოდექსის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის პირველ ნაწილს („...ინფორმაცია უნდა განთავსდეს... შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და ვებგვერდზე...“) და სისტემატურად არ ასრულებს ამავე ქვეპუნქტის მეორე ნაწილს („...ინფორმაცია უნდა განთავსდეს... აგრეთვე ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილას (ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი)“).

ამ დარღვევების დამადასტურებელი არაერთი დოკუმენტი ინახება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

• **XV ნაწილის (f) პუნქტის პასუხი:**

ანგარიშში აღნიშნულია: „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების

(N181, 23/03/2020) შესაბამისად, სკოპინგის დასკვნისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში საზოგადოების მონაწილეობა და მოსაზრებების/შენიშვნების წარდგენა განხორციელდა წერილობით ან/და ელექტრონული საშუალებით, კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.“

ანგარიშში, ჩვენი აზრით, გამიზნულად გამოტოვებულია ამ საკითხთან დაკავშირებული რამდენიმე გარემოება: 1. არ არის პირდაპირ აღნიშნული, რომ დადგენილების მიღების შედეგად, გაუქმდა საჯარო განხილვები ამ მომენტისთვის წარმოებაში მიღებულ და დადგენილების ამოქმედების შემდგომ დაწყებულ წარმოებებში; 2. საია-ს კონსტიტუციური სარჩელი ამ საკითხის შესახებ, რომელიც სასამართლომ არ მიიღო განსახილველად (კონსტიტუციური სარჩელი №1493); 3. საკითხი განიხილა პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა (იხ. ზემოთ); და აქვე, მართალია საანგარიშო პერიოდს სულ 1.5 თვით სცდება, მაგრამ მაინც შეიძლება დამატოს, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში 2020 წლის 18 სექტემბერს შეტანილი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია. განსაკუთრებით, იმის გამო, რომ ეს ცვლილება სრულიად ცვლის საჯარო განხილვების ჩატარების წესს და პრაქტიკას და შესაბამისად, საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობებზე.

• **XVII ნაწილის პასუხი:**

ანგარიშში აღნიშნულია: „**საანგარიშო პერიოდში გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული საქმიანობების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩატარდა 490 საჯარო განხილვა, მონაწილეობა მიიღო 5166 პირმა.“**

მონაწილე პირთა რაოდენობის სტატისტიკა არაფრისმთქმელია და უფრო მეტიც, შეცდომაში შემყვანი, როდესაც არ არის დაკონკრეტებული მონაწილეთა შემადგენლობა. როგორც წესი, იშვიათი გამონაკლისების გარდა (როდესაც საქმე ეხება მსხვილ სადავო პროექტებს), საჯარო განხილვებში მონაწილეობენ თავად სამინისტროს, საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიების, მათი დაქირავებული საკონსულტაციო კომპანიების და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების წარმომადგენლები და არა საზოგადოების წარმომადგენლები. ამის გადამოწმება ძალზე ადვილი საჯარო განხილვების ოქმების შემოწმებით.

• **XXII ნაწილის პასუხი:**

ანგარიშის ამ ნაწილში ჩამოთვლილია დოკუმენტები და აღნიშნულია, რომ ამ დოკუმენტების შემუშავება მიმდინარეობდა საზოგადოების მონაწილეობით, თუმცა, არცერთი ბმული არ ადასტურებს ამას.

აქვე არ არის აღნიშნული ისეთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის შესახებ, როგორცაა წიაღის ეროვნული სტრატეგია. დოკუმენტი შემუშავდა საზოგადოების მონაწილეობის გარეშე და არ ჩაუტარდა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: „საქართველოში წიაღის სექტორის განვითარების დაგეგმვის ლაბირინთები“ <https://bit.ly/3muNTKI>

აქვე აღნიშნულია შემდეგი: „**საზოგადოების მონაწილეობა გათვალისწინებულია სამონადირეო და თევზმურნეობის მართვის გეგმების დამტკიცების პროცესში. გეგმები განთავსდება სგდსმს-ს ვებ-გვერდზე საზოგადოების მხრიდან შენიშვნების/წინადადებების წარმოდგენის მიზნით და იმართება საჯარო განხილვები.“**

როგორც კვლევებში, ისე დისკუსიებში, აღწერილი პრაქტიკა არაერთხელ შეფასდა, როგორც ძალზე ცუდი პრაქტიკა, რომელიც საჭიროებს გამოსწორებას. გეგმების განხილვის შესახებ ინფორმაცია არ ქვეყნდება იმ სოფლებსა და რეგიონებში, სადაც არსებობს მეურნეობები. სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას ვერაზინ ნახულობს; შესაბამისად, არაზინ მონაწილეობს განხილვაში - არც ადგილობრივი, არც სამეცნიერო ან არასამთავრობო და არც პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

- **XXIV, XXV და XXVI ნაწილები, კონვენციის მე-8 მუხლის შესრულება:**

საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ კი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ითვალისწინებდა სახელმწიფო ორგანოების მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღებისას, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გამოყენების გზით, საზოგადოების მონაწილეობას; მაგრამ ეს დებულებები - კოდექსის XV თავი - ამოღებულ იქნა კოდექსიდან 2009 წელს. ამდენად, სახელმწიფო ორგანოები იყენებენ სხვადასხვაგვარ პრაქტიკას ასეთი აქტების შემუშავებისას.

ამასთან, ანგარიშში ყურადღებაა გამახვილებული საკანონმდებლო აქტებზე და გაკვრიტაა ნახსენები კანონქვემდებარე აქტების შემუშავება-განხილვის პრაქტიკის შესახებ. ანგარიშში ნახსენები ნარჩენების მართვის კოდექსიდან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება-განხილვის პრაქტიკა იშვიათი გამონაკლისია. სახელმწიფო ორგანოები, მათ შორის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, პრაქტიკულად, არასდროს არ აქვეყნებენ და არ იხილავენ საჯაროდ კანონქვემდებარე აქტების პროექტებს. მაგალითად: ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტი - საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილება „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ - მისი მიღებიდან დღემდე 68-ჯერ შეიცვალა. აქედან, 2017 წლიდან დღემდე, დადგენილება 19-ჯერ შეიცვალა და არცერთ შემთხვევაში, მთავრობის დადგენილების პროექტი არ ყოფილა საჯარო განხილვის საგანი.

აქვე, აღნიშნულია შემდეგი: „**2017-2020 წ წ ჩატარდა „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 5, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნით - 8 საჯარო განხილვა სამუშაო ჯგუფთან ერთად.**“

ეს ჩანაწერი არ შეესაბამება სინამდვილეს. ამ კანონპროექტზე მუშაობა დაიწყო 2013 წლიდან. დღემდე გამოქვეყნდა კანონპროექტის მხოლოდ სამი ვერსია და შესაბამისად, საჯარო განხილვა ჩატარდა სულ სამჯერ (2015, 2018 და 2019 წლებში). კანონპროექტის შემუშავების მიზნით გამართულ სხვა ღონისძიებებში მხოლოდ დაქირავებული ორი ექსპერტი და სამინისტროს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. 2019 წლის ნოემბერში ჩატარებული განხილვები იყო სრულიად წარუმატებელი და არაპროდუქტიული, რასთან დაკავშირებითაც სამმა ორგანიზაციამ - მწვანე ალტერნატივამ, ნაკრესმა და საბუკომ, 2020 წლის 29 იანვარს, განცხადებით მიმართეს სამინისტროს. კანონპროექტის შემუშავების პროცესი იყო გაუმჭვირვალე და დასრულდა ფორმალური, ზედაპირული საჯარო განხილვებით.

- **XXIX ნაწილის პასუხი:**

ანგარიშში აღნიშნულია: „**საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა სასამართლოში გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევასთან დაკავშირებით შეტანილი სარჩელების განხილვის ვადის დარღვევის რამდენიმე შემთხვევა.**“

პასუხი არ შეესაბამება სინამდვილეს და ტყუილია. სარჩელების განხილვის ვადა მუდმივად ირღვევა. ამ საკითხთან დაკავშირებით, დამატებით, იხილეთ: მწვანე ალტერნატივას 2019 წლის 23 აგვისტოს განცხადება http://greenalt.org/news/kanon_dargvevis_sheckvetaze/